

პედაგოგების ანაზღაურება სექტემბრიდან გაიზრდება



საქართველოს
განათლების,
მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის
მინისტრმა მიხეილ
ბატიაშვილმა
პარლამენტში სიტყვით
გამოსვლისას
განაცხადა, რომ
სექტემბრიდან

პედაგოგების ანაზღაურება გაიზრდება.

მინისტრის თქმით, პედაგოგი ნაკრებ დროს უნდა ხარჯავდეს ბიუროკრატიაზე და მეტ დროს შემოქმედებით მიდგომაზე. ნებისმიერ პედაგოგს, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ დონეზე შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, ჩააბაროს გამოცდა და აიმაღლოს კვალიფიკაცია.

ბატიაშვილმა ანგარიშის წარდგენისას სკოლაში დაგეგმილ ცვლილებებზეც ისაუბრა.

„ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სკოლის რეფორმის ფარგლებში რაზეც ვსაუბრობთ არის ხედვა, რომ უნდა მოხდეს მნიშვნელოვანი ცვლილებები იგივე საგაკვეთილო პროცესში, ანუ გარდა დასწავლით ცოდნით დაგროვების მოდელიდან უნდა გადავიდეთ ისეთი უნარების განვითარებაზე, როგორც არის კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, პასუხისმგებლობა, წიგნიერება, ანუ, ყველა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ჩვენი მომავალი თაობის წარმატებას. საერთაშორისო პრაქტიკაც იმას საუბრობს, რომ დღევანდელი, თანამედროვე სკოლის მოდერები გარდა დაგროვებითი ცოდნისა, ორიენტირებული უნდა იყოს იმ უნარების განვითარებაზე, რომელიც უკვე ვახსენეთ. ამიტომ, ეს ვფიქრობთ, რომ იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც

სკოლებში განხორციელება" - განაცხადა მინისტრმა.